



# სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

08 იანვარი 2024



FAS N 2

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სატენდერო და საკონკურსო კომისიების აპარატის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №247 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად კონკურსისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების მიზნით შეიქმნას მუდმივმოქმედი საკონკურსო და სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ლევან კვანტალიანი - სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფინანსური მენეჯერი.  
**აპარატის წევრი;**
- ბ) ირაკლი ბახტაძე - სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის შესყიდვების მენეჯერი.  
**აპარატის წევრი;**
- გ) პაატა მკერვალიშვილი - სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი (იურისტი).  
**აპარატის წევრი.**

2. დაევალოს სამსახურის საკონკურსო და სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს განახორციელონ:

ა) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) ePLAN მოდულში სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის რეგისტრაცია, გეგმის ცვლილება და აღნიშნული ცვლილების რეგისტრაცია;

ბ) სისტემაში ელექტრონული ტენდერისა ან/და კონკურსის გამოცხადება;

გ) სისტემაში ელექტრონულ ტენდერებთან ან/და კონკურსთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციის განთავსება;

დ) სისტემაში ელექტრონულ ტენდერთან ან/და კონკურსთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების, ხელშეკრულების ცვლილებების რეგისტრაცია და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განთავსება;

ე) სისტემის CMR მოდულში სამსახურის გამარტივებული შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების, ხელშეკრულების ცვლილებების რეგისტრაცია და ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განთავსება;

ვ) გამარტივებული შესყიდვის სააგენტოსთან შეთანხმების შემთხვევაში, გამარტივებული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სააგენტოსთან შეთანხმების მიზნით, შესაბამისი კითხვარის შევსება/ატვირთვა სააგენტოს მომართვის სისტემის SMP მოდულში.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სატენდერო და საკონკურსო კომისიების აპარატის შექმნის შესახებ“ 2022 წლის 1 თებერვლის სამსახურის №10 ბრძანება;

4. დაევალოს სამსახურის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სხვა დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ჯონი შურლუღია



სამსახურის უფროსი

<https://edoc.mof.ge/public/#/2-22-4-202401081550>

